სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/348

ქ. თბილისი

21 ნოემბერი 2019

„სასწავლო კურსის (საგნის) კოდის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 10 ნოემბრის № 2627 დადგენილებით დამტკიცებულ წესში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 21 ნოემბრის №01-05-02/24 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 10 ნოემბრის №2627 დადგენილებით – „სასწავლო კურსის (საგნის) კოდის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ დამტკიცებულ სასწავლო კურსის (საგნის) კოდის მინიჭების წესში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:
   ა) წესის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „9. სასწავლო კურსს კოდს ანიჭებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, დადგენილი წესის შესაბამისად, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარდგენილი დამტკიცებული სილაბუსის საფუძველზე.”
   ბ) წესის მე-10 პუნქტი იქნეს ამოღებული.
2. დადგენილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, № 6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**